



ევროკავშირი
საქართველოსთვის



რეგიონის განვითარება



ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
Young Pedagogues' Union



ქვეყნის განვითარების
ინსტიტუტი



ინსტიტუტი დემოკრატია
INSTITUTE OF DEMOCRACY

რეგისტრის განვითარება

რეგიონის განვითარება

CENN

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მასალა მომზადებულია პროექტის - მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის - ფარგლებში.

შინაარსი

LEADER-ის მიდგომა, როგორც მაგალითი სასოფლო რეგიონების ინტეგრირებული განვითარებისათვის	8
სასოფლო რეგიონების ინტეგრირებული განვითარება	14
რეგიონის განვითარების ძირითადი ასპექტები	15
რეგიონული განვითარების სტრატეგია.....	17
რეგიონული ანალიზი	23
რეგიონის განვითარების მიზნების განსაზღვრა	27
პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	32
საქმიანობები და ფინანსური გეგმა	32
რისკის ანალიზი	33
მონიტორინგი და შეფასება	35
სასოფლო არეალის იდენტიფიცირება - სოფლის ეკონომიკური სივრცის შესაძლებლობები და პრობლემები	37
დასახლების ტიპები საქართველოში	39
სასოფლო რეგიონის ფუნქციები	39
სასოფლო რეგიონების მნიშვნელობა	44
დასკვნა	60



სოფლის განვითარება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ძლიერ სოფელზე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ 2012 წლიდან ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და მსხვილი სახელმწიფო ინვესტიციები განახორციელა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მიმართულებებით. სახელმწიფოს მიერ შემუშავდა სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია, რომლის განცხორციელებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას, მათ ჩართულობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და უზრუნველყოფის გზების ძიების პროცესში. სახელმწიფო ხელს უწყობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისკენ მიგვიყვანს.

ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ევროკავშირისგან, რომელიც საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას 2013 წლიდან ხელს უწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის,

ENPARD-ის დახმარებით. ეს პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში.

მთავრობის ძალისხმევით, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და კერძო სექტორის ჩართულობით, უკვე ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს. გვჯერა, რომ საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, შევძლებთ სოფლის განვითარებას, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნასა და ქალაქთან გათანაბრებული ეკონომიკური სარგებლის მიღწევას.

ოთარ შამუგია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი



ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს გამოწვევათა შორის ერთ-ერთია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობა და ცხოვრებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, შედეგად კი – სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირება, რომელიც მზარდი ურბანიზაციის ფონზე კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა.

სოფელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემათა გადაჭრის საერთო საქმეში. არსებული გამოწვევების ფონზე მომავლის სოფელისადმი მოთხოვნა შეიცვალა და საჭიროებს კლიმატკონივრულ და მდგრად ხედვაზე დაფუძნებულ მიდგომას. მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ის ჯანსაღი გარემო, რომელიც სოფლად ცხოვრების ძირითად უპირატესობას წარმოადგენს. ამისთვის კი, პირველ რიგში, საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერება და მისი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2022 წლის დეკემბრიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე ENPARD IV პროგრამის ფარგლებში, CENN ახორციელებს პროექტს “მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის”. პროექტის მიზანია,

ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების მოზიდვისა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა ქვევიდან ზევით მიდგომით სოფლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გზით.

CENN-ისა და პროექტის პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად მუშაობა. პროექტის ფარგლებში, ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში ყალიბდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG). პროექტის შემდეგი ეტაპები მოიცავს ადგილობრივი სტრატეგიის შემუშავებას, ინტენსიურ მარკეტინგულ კამპანიას, ინოვაციური პროექტების განხორციელებას, სამოქალაქო ჩართულობის პროცესების ხელშეწყობასა და ქალეზის, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია რეგიონისა და სოფლის განვითარების იმ ევროპული გამოცდილებისა და LEADER-ის მიდგომების გათვალისწინებით, რომლებსაც CENN იყენებს პროექტის განხორციელებისას. სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია სოფლის, როგორც არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების ადგილზე, არამედ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციებზე.

სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს სოფლისა და რეგიონის განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. მისი გამოყენება რეკომენდებულია, როგორც პროექტში ჩართული მხარეებისათვის, ისე, როგორც დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

CENN-ში გვჯერა, რომ ჯანსაღი მომავლის უზრუნველყოფა შესაძლებელია დღევანდელი ძალისხმევითა და ცვლილებებით. იმედს ვიტოვებთ, ეს სახელმძღვანელო და მასში დღეს ჩადებული შრომა, დაეხმარება მკითხველს მომავლისკენ მიმავალ გზაზე.

ნანა ჯანაშია
CENN
აღმასრულებელი დირექტორი



მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

პროექტის ზოგადი მიზანია, გურიის რეგიონში სიღარიბის შემცირება და მონყვლადი თემებისთვის ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის, სოფლის ინკლუზიური განვითარებისა და მწვანე ზრდის მხარდაჭერის გზით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციას, ინვესტიციების მოზიდვასა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობას სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი და სტრატეგიული დაგეგმვის გზით.

პროექტს ახორციელებს CENN შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით:

- ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
- დემოკრატიის ინსტიტუტი
- ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD IV-ის ფარგლებში. პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი (8 დეკემბერი, 2022 – 8 დეკემბერი, 2025).

პროექტის საქმიანობები

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

საქმიანობა 1:

ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შექმნა და გაძლიერება თანამონაწილეობრივი გზითა და ევროკავშირის „ლიდერის“ (LEADER) პრინციპებზე დაყრდნობით. ადგილობრივი განვითარების ჯგუფში ქალების, ახალგაზრდებისა და მონყვლადი ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფა.

საქმიანობა 2:

ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავება გენდერის, ახალგაზრდებისა და მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (RBA) გამოყენებით.

საქმიანობა 3:

ადგილობრივი ეკონომიკის „გამწვანება“ და დივერსიფიკაცია ინოვაციური და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებით.

საქმიანობა 4:

სამოქალაქო ჩართულობის პროცესების ხელშეწყობა და ქალების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების/საზოგადოების გაძლიერება, რათა მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოახდინონ სხვადასხვა საკითხის ადვოკატირება მონყვლადი ჯგუფებისათვის ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებისა და სამართლიანი და მდგრადი პოსტკოვიდური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.



LEADER-ის მიღობა, როგორც მავალითი სასოფლო რეგიონების ინტეგრირებული განვითარებისათვის

LEADER: ევროკავშირის პროგრამა, რომელიც ადგილობრივი მოთამაშეების თანამშრომლობის გაღრმავებით ხელს უწყობს კონკრეტულ რეგიონში რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. პროგრამის ფარგლებში იქმნება ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც, ეკონომიკურ მიზნებთან ერთად, ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევას. LEADER პროგრამა რეგიონის განვითარების პროცესში ადგილობრივი მოთამაშეების თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას უწყობს ხელს.

LEADER არის ფრანგული სიტყვების აკრონიმი (Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale“), რაც ნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკასა და განვითარების ქმედებებს შორის. ამ მიღობის მთავარი იდეაა სოფლის განვითარების ხელშეწყობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებითა და მათი ძალისხმევის გაერთიანებით.

EU-LEADER პროგრამა პირველად 1990 წელს დაიწყო. 2000 - 2006 წლებში შემუშავდა პროგრამის მესამე ვერსია „LEADER+“, რაც წარმოადგენს მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვასა და პილოტირებას რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. 2007 წლიდან დაიწყო LEADER პროგრამის ინტეგრირება სოფლის განვითარების პოლიტიკასთან (E-LER-Fonds).

LEADER მიღობის შვიდი ძირითადი მახასიათებელი

1. კონკრეტულ ტერიტორიაზე დამყარებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
2. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება თანამონაწილეობრივად - ქვემოდან ზემოთ;
3. ადგილობრივი პარტნიორობისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების გაძლიერება;
4. ინოვაციების ხელშეწყობა: ტექნიკურ ინოვაციებთან ერთად იმ სოციალური ინოვაციების წახალისება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლებისათვის;
5. ინტეგრირებული და მრავალსექტორული ქმედებები;
6. კავშირების დამყარება და გამოცდილების გაზიარება სოფლის განვითარებაში ჩართულ სხვა ჯგუფებთან;
7. თანამშრომლობა სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივ განვითარების ჯგუფებს შორის ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

საქართველოს სოფლის განვითარება ევროპული LEADER მიდგომით



სოფლის განვითარების 500-ზე მეტი ინიციატივა
ევროკავშირის გრანტით დაფინანსდა თორმეტ საკილოთა მუნიციპალიტეტში

ბორჯომი | ლაგოდეხი | ყაზბეგი | ახალქალაქი | დედოფლისწყარო |
თეთრიწყარო | ქედა | ხულო | წალკა | ახმეტა | წყალტუბო | მესტია

ძირითადი სექტორები:



სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოციალური და სოფლის ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა

თორმეტივე მუნიციპალიტეტში:

- ჩამოყალიბდა ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG)
- შემუშავდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები

დასაქმდა სოფლად
მცხოვრები 1 000-ზე მეტი
ოჯახი

შედეგები:

საცხოვრებელი პირობები
გაუმჯობესდა 10 000-ზე მეტ
სოფლის მოსახლეს

დამტკიცდა საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027

LEADER პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ევროკავშირის მოთხოვნაა რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავება. საწყისი ეტაპია არსებული სიტუაციის აღწერა და შესაძლებლობებისა და საფრთხეების კრიტიკული შეფასება (SWOT ანალიზი). აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია შემდეგი ელემენტები:

- განვითარების პროცესისა და განვითარების მიზნების აღწერა; რას უნდა მივაღწიოთ, რა უნდა შეიცვალოს როგორც მასალების, ისე ქცევის თვალსაზრისით; უნდა აღინეროს მიზნის მიღწევის გზა და საშუალებები;
- პრიორიტეტების დასახვა;
- უნდა განისაზღვროს თუ რა წვლილს შეიტანს კონკრეტული პროექტი საერთო მიზნის მისაღწევად;
- სტრატეგიასა და არსებულ პროექტებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა;
- ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება;
- დაფინანსების წყაროების განსაზღვრა.

რას უნდა აკმაყოფილებდეს LEADER – ის მიღგომით შეიშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგია:

- **ინტეგრაცია:** მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სექტორს, სხვადასხვა სექტორის პროექტები უნდა იყოს კოორდინირებული და შესაბამებოდეს განვითარების მიზნებს;
- **კოორდინაცია:** დაფუძნებული უნდა იყოს რეგიონისათვის მნიშვნელოვან მოთამაშეებზე. უნდა შეიქმნას ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), როგორც კოორდინაციისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო;
- **მდგრადობა:** ცალკეული პროექტები და მთლიანად სტრატეგია უნდა იყოს ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებული და აკმაყოფილებდეს გარემოსდაცვით პრინციპებს;
- **კონსენსუსზე დაფუძნებული:** სტრატეგიის მომზადება და განხორციელება არ უნდა იქცეს ბრძოლის ველად, უნდა მიმდინარეობდეს დიალოგის ფორმატში და არ უნდა დომინირებდეს რომელიმე ინტერესთა ჯგუფი;
- **ქმედებაზე ორიენტირებული:** პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, არ უნდა იყოს მხოლოდ ტექსტურად აღწერილი, არამედ შემოთავაზებული უნდა იყოს მისი გადაჭრის გზები განხორციელებადი პროექტების მეშვეობით;
- **სტრატეგიის პილოტური ხასიათი:** სტრატეგიაში უნდა ჭარბობდეს ახალი და ინოვაციური საპროექტო იდეები, რომლებსაც ექნებათ პილოტური ხასიათი.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG): რეგიონში არსებული მოთამაშეების თანამშრომლობა, რომლის მიზანია რეგიონის განვითარების სტრატეგიის შექმნა. განვითარების ჯგუფს შესაძლებელია, ჰქონდეს როგორც საინიციატივო ჯგუფის სახე, ასევე სამართლებრივი ფორმა და დარეგისტრირებული იყოს რეესტრში როგორც ორგანიზაცია.

ხშირი შეცდომები სტრატეგიის შემუშავების პროცესში:

- ამბიციური და არარეალიზებადი მიზნები;
- სამოქმედო არეალის არასრული აღწერა;
- LAG-ში არასაკმარისი პარტნიორები ან რომელიმე ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლის არარსებობა;
- პროექტების დაფინანსების წყაროები არ არის წინასწარ გარკვეული;
- დროის გეგმის არქონა;
- პასუხისმგებლობები არ არის გადანაწილებული.







სასოფლო რეგიონების ინტეგრირებული განვითარება

საქართველოში სასოფლო რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ლანდშაფტით, რეგიონული ტრადიციებით, ბუნებრივი რესურსებით, და სოციო-ეკონომიკური მდგომარობით. სასოფლო რეგიონების უმეტესობა ხასიათდება მაღალი უმუშევრობის დონითა და ახალგაზრდებისთვის განვითარების დაბალი პერსპექტივით რაც იწვევს განათლებამიღებული ახალგაზრდების მიერ სოფლების დატოვებას და სოფლების დაბერებას.

შესაბამისად, პირველ რიგში საჭიროა სოფლად არსებული სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზება და მათი გამოყენება, როგორც ამოსავალი წერტილი განვითარებისათვის.

ყველა სასოფლო რეგიონს აქვს ინდივიდუალური ძლიერი მხარეები, რაც წვლილს შეიტანს მის განვითარებაში. რეგიონის ძლიერ მხარეებს კარგად იცნობს მისი მოსახლეობა. სწორედ ამას ეფუძნება სასოფლო რეგიონების ინტეგრირებული განვითარება. არ არსებობს მზა რეცეპტი რაც ყველა რეგიონისთვის უნივერსალური იქნება.

სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობა არის ინტეგრირებული განვითარების ამოსავალი წერტილი. განვითარების პროცესში ჩართული უნდა იყოს შექმნისდაგვარად ყველა ის მოთამაშე, რომელიც ამა თუ იმ რეგიონში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სოფლის ინტეგრირებული განვითარების პროცესში არ უნდა ვეძებდეთ ცალკეული სექტორის განვითარების რეცეპტს, არამედ კონცენტრირება უნდა მოხდეს ისეთ მიდგომაზე რომელიც მოიცავს სხვადასხვა სექტორებს და წვლილს შეიტანს თემის თუ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაში.

მაგ.:

- აღარ უნდა ვიფიქროთ: როგორ გავყიდო ჩემი წარმოებული პროდუქცია; როგორ დავიცვა ჩემი ნაკვეთი;
- არამედ: რა სარგებელს მოუტანს მოსახლეობას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის წარმომადგენლების თანამშრომლობა.

რა არის სოფლის ინტეგრირებული განვითარება

სივრცითი მიდგომა	აქცენტი კეთდება სივრცეზე და არა სექტორზე
მულტისექტორული მიდგომა	სექტორებს შორის სინერგია
თანამშრომლობა	მოსახლეობას შორის თანამშრომლობა
დინამიკური მიდგომა	პროცესი მუდმივად უნდა გადაიხედოს და გაუმჯობესდეს
გრძელვადიანი ხედვა	განვითარების გრძელვადიანი ხედვა ემყარება საშუალოვადიან და მოკლევადიან გეგმებს

რეგიონის განვითარების ძირითადი ასპექტები

რეგიონის მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიმართულებების ერთდროულად განვითარებას. იმ შემთხვევაში, როცა აქცენტი კეთდება ეკონომიკურ განვითარებაზე, ის შესაძლებელია, წინააღმდეგობაში მოვიდეს გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ პრინციპებთან; ან პირიქით - მხოლოდ გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებამ შესაძლოა, მიგვიყვანოს დასაქმების პრობლემასთან. რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ამ ფაქტორებისა და მიზნების დაბალანსება რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის.

რეგიონის განვითარებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომლებიც შეგვიძლია, დავყოთ “hard” (რაოდენობრივ) და “soft” (ხარისხობრივ) ფაქტორებად. ეს ფაქტორები, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებენ რეგიონის განვითარების არსებულ მდგომარეობას, ამიტომ, ეს ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და გაანალიზებული, როცა გვინდა რეგიონის განვითარებაზე ზემოქმედება.

ტიპურ რაოდენობრივ ფაქტორებს მიეკუთვნება: რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, ინფრასტრუქტურა, მინის ფასი, ეკონომიკის სტრუქტურა, ძირითადი ინდუსტრია, წარმოების საშუალებების ხარისხი და რაოდენობა. ადრე რეგიონის განვითარების ძირითად ფაქტორებად სწორედ ეს რაოდენობრივი ფაქტორები მიიჩნეოდა.

დღეისათვის, თანამედროვე კვლევებისა და მიდგომების გამოყენების საფუძველზე, დასტურდება, რომ რეგიონის განვითარების დონეზე რაოდენობრივი ფაქტორების გავლენას ხშირ შემთხვევაში აჭარბებს ხარისხობრივი ფაქტორების გავლენა. ასეთ ფაქტორებად მიჩნეულია, მაგ.: ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაცია, მოქნილობა, ადგილობრივი მთავრობის მოტივაცია, სერვისების ხარისხი, განათლების დონე და ხარისხი, რეგიონული იდენტობა, რეგიონის იმიჯი მის ფარგლებს გარეთ.

სწორედ ამიტომ რეგიონის განვითარების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესებისკენ.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ფაქტორები რეგიონულ და ნაციონალურ დონეზე არათანაბრად არის განაწილებული, ცნობილია რეგიონის განვითარების დონის სხვადასხვა მოდელი:

- ცენტრთან ახლოს მდებარე, ეკონომიკური თვალსაზრისით დინამიკური რეგიონები განვითარებული ინფრასტრუქტურით;
- აგრარული რეგიონები კარგი გარემო პირობებით;
- რეგიონები მოძველებული ინდუსტრიით, ნაკლები მოქნილობით სტრუქტურის ცვლილებისადმი და ღარიბი სოციალური ინფრასტრუქტურით.

?

- რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ განვითარების დონეს თქვენი რეგიონის მაგალითზე?
- დააჯგუფეთ ეს ფაქტორები მნიშვნელობის მიხედვით;
- რომელი ფაქტორები შეიძლება გამოვყოთ, როგორც ამოსავალი წერტილები განვითარებისათვის?

ყველა რეგიონს ესაჭიროება ინდივიდუალური განვითარების სტრატეგია. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული რეგიონის არსებული მდგომარეობა (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები). არ შეიძლება რეგიონის განვითარების სტრატეგიის პირდაპირ გადმოღება სხვა რეგიონის განვითარების სტრატეგიიდან, რომელიც სრულიად სხვა მიზნებსა და გარემო პირობებზე იქნება დაფუძნებული.



ფოტო: გიორგი ნაკაშიძე

რეგიონული განვითარების სტრატეგია

რეგიონის განვითარების სტრატეგია არ არის უკვე არსებული რეგიონული სტრატეგიის ოპტიმიზებული ვარიანტი, რომელიც, ძირითადად, შექმნილია რეგიონის დაგეგმვის პროცესში, ზემოდან ქვემოთ მიმართული პროცესის დროს. ეს არის კონკრეტული რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემულობაზე ორიენტირებული კონცეფცია, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად.

რეგიონის განვითარების სტრატეგია უნდა იყოს შეძლებისდაგვარად კონკრეტული, უნდა მოიცავდეს დაგეგმილ ღონისძიებებსა და ფინანსურ გეგმას. გამომდინარე იქიდან, რომ განვითარება წარმოადგენს მუდმივ და უწყვეტ პროცესს, მისი კონცეფცია არ უნდა იყოს დახურული ტიპის დოკუმენტები პროექტების ჩამონათვალით, არამედ - ცოცხალი და მოქნილი დოკუმენტი.

ნამყვანი პროექტები - განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროექტები, რომლებიც რეგიონის განვითარებას წარმოაჩენენ. ასეთი პროექტები აღძრავენ მოტივაციასა და ინიციატივას, წარმოადგენენ წინსვლისა და წარმატების მაგალითებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი განხორციელება.

რეგიონული განვითარების სტრატეგია გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ:

- **რეგიონის დონეზე არსებობს შედარებით კარგი თანამშრომლობის მაგალითები;**
- **სექტორებს შორის თანამშრომლობა შედარებით გართულებულია.**

რეგიონული განვითარების სტრატეგია მყარად უნდა ეფუძნებოდეს რეგიონში არსებულ მოთამაშეებს, სამიზნე ჯგუფებსა (ფერმერები, ტურისტები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები და ა.შ.) და მათ საქმიანობას.

იდეალურ შემთხვევაში განვითარების სტრატეგია იდეების გენერირების ქვემოთ ზემოთ მართული პროცესით უნდა იქმნებოდეს. ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია ყველა მოთამაშისა და ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლის ჩართულობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ პროცესის აღიარება და მიღება; მაგ. როგორც სურათზეა ნაჩვენები, პროცესი უნდა წარიმართოს, ერთობლივი და ცალკეული ქმედებებითა და სხვადასხვა დახმარებით (მაგ. როგორც სურათზეა ნაჩვენები - ქარის დახმარება) საერთო მიზანი იქნეს მიღწეული.



ამიტომ მიზანი, მიმართულება, ძალის მობილიზაცია, კოორდინაცია და სამოქმედო გეგმა უნდა იქნეს წინასწარ განსაზღვრული.

სტრატეგიის ეფექტები რეგიონის ფარგლებში:

- რეგიონის შიდა აქტორების გააქტიურება;
- ცალკეული აქტივობების გამიჯვნა;
- რეგიონის საერთო მიზნის იდენტიფიცირება და მიკერძოებული მიზნების თავიდან აცილება;
- რეგიონში არსებული პროექტების ურთიერთდაკავშირება;
- სინერგიების გამოვლენა და გამოყენება;
- კონკრეტული საპროექტო იდეების გენერირება და განხორციელების შესაძლებლობა.

სტრატეგიის ეფექტები რეგიონის ფარგლებს გარეთ:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამხმარე, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის ხარისხიანად წარმართვას (მაგ.: კრიტერიუმები დაფინანსების საკითხის გადაწყვეტილების მიღების პროცესში);

- მიმართულებებისა და მიზნების განსაზღვრის მეშვეობით განვითარების სტრატეგია უზრუნველყოფს მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებას;

- გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით რეგიონის გარეთ რეპლიკაციის შესაძლებლობა.

რეგიონის განვითარების სტრატეგია არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ფონდებისა და დაფინანსების მოძიების საშუალება. არცერთ პროგრამასა და ფინანსურ წყაროს არ შეუძლია ყველა პროექტისა თუ იდეის დაფინანსება; მისი მნიშვნელოვანი ფუნქციაა:

- მოსახლეობის გააქტიურება;
- პარტნიორებს შორის ბარიერების შეზღუდვა;
- განხორციელებადი პროექტების იდენტიფიცირება.

სტრატეგიის შინაარსობრივი მიზანია:

- რეგიონის ერთობის განმტკიცება;
- რეგიონული იდეების შეჯიბრი.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის გასათვალისწინებელ საკითხთა ნუსხა

არ არსებობს უნიკალური წესი სტრატეგიის შემუშავებისათვის. თუმცა იმისათვის, რომ გამართვიდეს ეს პროცესი, შესაძლებელია, გამოვიყენოთ შემდეგი სქემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას უნდა მოიცავდეს განვითარების სტრატეგია:



რეგიონის შერჩევა/იდენტიფიცირება – სად ვცხოვრობთ და ვმუშაობთ

არეალი უნდა იყოს მაქსიმალურად ჰომოგენური, მაგ.: ერთგვაროვანი ბუნება, იდენტობა, ერთმანეთისადმი კუთვნილების შეგრძნება.



სიტუაციის ანალიზი

- რეგიონის სტატისტიკური ანალიზი

მოსახლეობის განვითარების დონე, დასახლების სტრუქტურა, ინდუსტრიის სტრუქტურა, ბაზრების სტრუქტურა, დასაქმების სტრუქტურა, სკოლისა და განათლების სისტემა, ბუნებრივი გარემოს აღწერა, ინფრასტრუქტურა, კულტურა, ასევე აუცილებელია ადამიანური რესურსებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასება.

- ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, იმის განსაზღვრა, თუ სად არის მთავარი პრობლემა, გამოწვევები, შესაძლებლობები და საფრთხეები

რეგიონის შესაძლებლობებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების აღწერა, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სტრუქტურის აღწერა, რეგიონის პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების ხარისხობრივი დასაბუთება.



მიმართულება, მიზნები და განვითარების სტრატეგია – სად გვინდა ვიყოთ 5 და 10 წლის შემდეგ

- მიმართულების განსაზღვრა და მიზნების იდენტიფიცირება

მიზნების იდენტიფიცირება საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ გასავლელი გზა. მიზნები წარმოადგენს პრობლემური მდგომარეობის პოზიტიურ ფორმულირებას.

- განვითარების სტრატეგიის აღწერა - როგორ ვაკეთებთ

სტრატეგია აღწერს გზას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. რა დარგობრივი მიმართულებები, ინსტრუმენტები და საკვანძო სფეროები უნდა განვითარდეს და რომელი ინტერესთა ჯგუფები უნდა იყვნენ ჩართული და ერთმანეთთან დაკავშირებული; განვსაზღვროთ, როგორ უნდა შეირჩეს პროექტები ხარისხობრივი მახასიათებლებით და როგორი ფოკუსირება გავაკეთოთ ინოვაციებზე, ცოდნაზე, პროექტების რეპლიკაციის პოტენციალსა და პილოტურ ხასიათზე.



სამოქმედო არეალის განსაზღვრა და დამუშავებული საპროექტო იდეები

სამოქმედო არეალი მოიცავს თემატური პროექტების ერთობლიობას, ე.წ. პროექტების დერეფანს. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია საკვანძო პროექტები, რომელთაც ამა თუ იმ სამოქმედო არეალში იმპულსის ფუნქცია აქვთ. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ პროექტები, რომლებსაც სწრაფი ეფექტის მოტანა შეუძლიათ (მაგ. რეგიონული გამოფენები). საუკეთესო და წარმატების პოტენციალის მქონე პროექტები უნდა შეირჩეს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; მაგ. წილი რეგიონის ღირებულებათა ჯაჭვში ან დასაქმების ამაღლებაში, როგორ გააუმჯობესებს რეგიონის იმიჯს, პროექტის ინოვაციურობა, მდგრადობა.



რეგიონის განვითარების ორგანიზება – როგორ ვაკირებთ თანამშრომლობას და რომელი ორგანიზაციები უნდა ჩავრთოთ პროცესში

განხორციელების სტრუქტურა სამუშაო პროცესის წინასწარი აღწერა საშუალებას მოგვცემს, პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს. წინასწარ უნდა განისაზღვროს თითოეული სუბიექტის როლი და დაკისრებული მოვალეობა, რაც გულისხმობს თამაშის წესების წინასწარ განსაზღვრას. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებას ხმათა უმრავლესობით, თანამონაწილეობის წესებს, საჯაროობას და ა.შ.



შედეგზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა, ფინანსური გეგმის შედგენა რეგიონის განვითარებისათვის

როგორია პროექტების მონახაზი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია საწყისი ეტაპისათვის, რათა დროულად ვიპოვოთ პარტნიორი; განვსაზღვროთ, რა ფინანსური და ადამიანური რესურსი არის საჭირო; არის თუ არა შემუშავებული პროექტის მაილსტონები, შუალედური მიზნები, არის თუ არა გადანაწილებული პასუხისმგებლობები; ვინ არის პროექტის განმხორციელებელი, ვინ არის დამხმარე და რაში გამოიხატება დახმარება.



დოკუმენტირება, მონიტორინგი, შეფასება – როგორ შევაფასოთ მიღწეული შედეგები

დროში გაწერილი გეგმა და ინდიკატორები გვეხმარებიან ჩატარებული აქტივობების წარმატების განსაზღვრაში; მაგ. პროექტის განხორციელების რომელიმე ეტაპზე იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულ სამოქმედო არეალზე შუალედური მიზნის მიღწევის გზაზე რა არ გამოგვდის, რა პრობლემა გვიშლის ხელს პროცესების დაჩქარების საქმეში, რა უნდა გავაკეთოთ მომავალში უკეთესად და ა.შ.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების საწყისი ფაზა მოიცავს ინტენსიურ საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო შეხვედრების მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა პროცესის მნიშვნელობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მნიშვნელოვანი მოთამაშეების პროცესში ჩართულობა და მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარება.

ახლად დაფუძნებული განვითარების ჯგუფისათვის რთული დასაწყისშივე ფართო მასების ჩართვა, ამიტომ გამართლებულია საწყის ეტაპზე, მაგ., რეგიონული კონფერენციის მონაცემები.

რეგიონზე მორგებული სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შედგენა მოითხოვს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის აქტიურ თანამშრომლობას. უნდა დაიგეგმოს, თუ რომელ საფეხურზე რომელი ჯგუფი და რა ფორმით ჩაერთვება მუშაობაში. ეს კი შეიძლება განსხვავებული იყოს ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე. სასურველია, რომ თემების, ადგილობრივი მმართველობის, საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლები საწყის ეტაპზევე ჩაერთონ პროცესში. სამუშაო შეხვედრების ჩატარება და რეგიონის სუსტი და ძლიერი მხარეების ერთობლივი ანალიზი არის მათი ჩართულობის კარგი ფორმატი.

სტრატეგიის შედგენას წინ უნდა უძღოდეს სამოქმედო გეგმა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. პროცესის ორგანიზება მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და რესურსებს, ამიტომ მიზანშეწონილია არსებული კავშირებისა და რესურსების გამოყენება. პროცესის წარმატებაში გადამწყვეტი როლი აკისრია მოსახლეობის ჩართულობასა და ინოვაციურობას.



რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი

1. სიტუაციის ანალიზი

სამუშაო შეხვედრების ფორმატი

ტრანსპორტი,
დასახლება

ინფრასტრუქტურა

შრომის
ბაზარი

ეკონომიკური აქტივობა,
სოფლის მეურნეობა,
ტურიზმი, ვაჭრობა

ღირებულების
შექმნა

ინფრასტრუქტურა

გარემოს დაცვა,
ბუნებრივი რესურსები

ძლიერი და სუსტი მხარეები/პოტენციალი

„სტრატეგიის Workshop“

„შესაძლებლობებზე ორიენტირებული სტრატეგია“

AG 1

AG 2

AG 3

2. განვითარების მიზანი

3. სამოქმედო არეალის განსაზღვრა

4. განხორციელების ფაზა

თემატური ჯგუფები

კომუნიკაცია

უნყვეტი
განათლება

ღირებულებათა
ჯაჭვი

სოფლის
მეურნეობა

რეგიონული
ორგანიზება

ახალგაზრდები

შედეგები

(დოკუმენტაცია, მონიტორინგი, შეფასება)

ცხოვრების დონისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება

რეგიონული ანალიზი

განვითარების სტრატეგია არის ლოგიკურად შემუშავებული, მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა და სამოქმედო გეგმა, რაც იძლევა პროცესის მართვისა და კონტროლის საშუალებას. სწორედ ამიტომ, სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ინდიკატორებისა და გაზომვადი მიზნების იდენტიფიცირება.

სტრატეგიის შემუშავების პირველ ეტაპზე, რეგიონული ანალიზისათვის უმთავრესი წინაპირობაა სანდო მონაცემების არსებობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს სამოქმედო არეალის განსაზღვრა და რეგიონული პოლიტიკის მიმართულების დასახვა. ეს შეიძლება ეხებოდეს შემდეგ ინფორმაციას:

- სად არის საბაზისო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (ჯანდაცვა, საბავშვო ბაღები, საცალო ვაჭრობა);
- რომელ რეგიონშია ეკონომიკა დინამიკური და ახალგაზრდობის მაღალი ჩართულობა; სად არის უფრო მოძველებული ინდუსტრიული მიმდინარეობები;
- რა ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროებია ხელმისაწვდომი.

რეგიონის განვითარების მიმართულების ჩამოყალიბებამდე უნდა მოხდეს არსებული სიტუაციის შესაბამისი ინდიკატორებით შეფასება (არსებული მდგომარეობა).

განვითარების დონის შესაფასებლად საჭიროა ორი მიმართულება:

- ინდიკატორების შერჩევა, რომლებიც რეგიონის განვითარების მიზნებს გადაიყვანს გაზომვად ცვლადებში;
- იმ მიზნების განსაზღვრა (მინიმალური სტანდარტების, სასურველი შედეგების), რომლებიც პოლიტიკური მხარდაჭერით მიიღწევა.

ამ მიმართულებით შესაძლებელი გახდება რეგიონის სივრცითი განვითარების შეფასება. როგორც წესი, შედარებები ხდება რეგიონის შემადგენელ ნაწილებს შორის (მუნიციპალიტეტი, თემი, სოფელი და ა.შ). მიზნები უნდა მოიცავდეს რეგიონის, შეძლებისდაგვარად, ბევრ კომპონენტს.

ინდიკატორებზე დაკვირვება დროის ხანგრძლივ პერიოდში საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ განვითარების დინამიკა: იზრდება თუ მცირდება რეგიონებს შორის განსხვავებები განვითარების თვალსაზრისით; ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემების სისტემური დაკვირვებით გავზომავთ მიზნების შესრულებას. გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ სახელმწიფო პროგრამების შედეგების შესაფასებლად ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც აქვეყნებენ ოფიციალური სტატისტიკური სამსახურები.

ინდიკატორების დახმარებით შეგვიძლია, გამოვავლინოთ ამა თუ იმ პოლიტიკური ღონისძიებების შედეგები. ინდიკატორები საშუალებას იძლევიან, ღიად და გამჭვირვალედ შეფასდეს ეს შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონული განვითარება არის ყოვლისმომცველი სფერო, შესაბამისად უნდა მოხდეს ცალკეული ინდიკატორების კოორდინაცია და შეფასება. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი კონკრეტული რეგიონის ცხოვრების დონისა თუ სამუშაო პირობების მდგომარეობის შეფასება.

მუდმივი დაკვირვების პროცესი რეგიონზე:

ევროპის ქვეყნებში მსგავს დაკვირვებას, ძირითადად, სახელმწიფო მმართველობის თუ სხვა ორგანოები ახორციელებენ; მაგ.: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეგიონული სტატისტიკის სამსახურს (www.bbr.bund.de) აქვს მუდმივად განახლებადი მონაცემები შემდეგი მიმართულებებით: მოსახლეობა, დასაქმება, განათლება, ეკონომიკა, თავისუფალი დრო, მიწათსარგებლობა, ჯანდაცვა, დასახლების სტრუქტურა, სოციალური საკითხები, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა.

სივრცითი განვითარების ინდიკატორები

პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია რეგიონის (ადგილის, რომელიც უნდა განვითარდეს) იდენტიფიცირება და საზღვრების გავლება. ხშირ შემთხვევაში შემოსაზღვრა ხდება არსებული ადმინისტრაციული საზღვრებით. ასეთი მიდგომის უპირატესობა არის ის, რომ მონაცემების უმეტესობის შეგროვება სწორედ ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე ხდება. ინტენსიური რეგიონული ანალიზის ჩასატარებლად მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს.

ხშირად გამოიყენება ე.წ. დასახლების სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილი რეგიონის ტიპები. ასეთი მიდგომა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და შედარებით ჰომოგენური სტრუქტურა აქვთ (მაგ.: მჭიდროდ დასახლებული ადგილები, ქალაქგარე დასახლებები). დასახლების ტიპით მსგავსი რეგიონების სტრუქტურა გამოიყენება იმისათვის, რომ შეფასდეს:

- გრძელვადიანი ტენდენციები (მაგ., მიგრაცია);
- სხვადასხვა რეგიონის ტიპებს შორის სივრცობრივი განვითარებები (მაგ., ქალაქისა და სოფლის შედარება).

იმ რეგიონის სიდიდე, რომელსაც მიეკუთვნებიან ინდიკატორები, ისე უნდა შეირჩეს, რომ არ დაირღვეს თანაფარდობა. ხშირად საშუალო სიდიდეების გათვალისწინების შემთხვევაში იკარგება პატარა ადგილების თავისებურებები. რეგიონის რომელიმე ნაწილმა, რომელსაც საშუალოზე მაღალი განვითარების მაჩვენებლები აქვს, შესაძლებელია, სხვა ნაკლებგანვითარებული ნაწილის დეფიციტები შეავსოს და არასწორი სურათი მივიღოთ. ასეთი გათანაბრების ეფექტი ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის, გამოვავლინოთ რეგიონის ფარგლებში არსებული მნიშვნელოვანი უთანასწორობები. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია ინდიკატორების უფრო დაბალ დონეზე ჩაშლა.

ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები

რეგიონის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად რეკომენდებულია ცხრილში მოცემული ინდიკატორების გამოყენება. ანალიზის გამოყენებადობა და სარგებლობა დამოკიდებულია მონაცემების ხელმისაწვდომობაზე, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ანალიზმა უნდა გამოავლინოს რეგიონის განვითარების დონე ნაციონალურ, ან, მაგ., საერთაშორისო კონტექსტში.

- ადგილმდებარეობის აღწერა: მდებარეობა, სატრანსპორტო ქსელი, ტოპოგრაფია;
- მოსახლეობის განვითარება, სტრუქტურა (ასაკობრივი სტრუქტურა, სოციალური ჯგუფები, და სხვ.), მიგრაცია;
- დასახლების სტრუქტურა, წარმოებისა და საოჯახო ინფრასტრუქტურა;
- ეკონომიკის სტრუქტურა: დასაქმებისა და დამატებითი ღირებულების განაწილება სექტორების მიხედვით, ბაზარზე წვდომა, ცალკეულ სფეროებზე კონცენტრაცია, კონკურენციის უნარი;
- სიტუაცია თემის დონეზე: გადასახადის გადამხდელები, დავალიანება, დასაქმებულების შიდა გადაადგილება;
- დასაქმება: დასაქმების ბაზრის სტრუქტურა, დასაქმებულების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა;
- სიტუაცია კულტურის სფეროს თვალსაზრისით: მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობები, მოსახლეობის მენტალიტეტი, ტურიზმის განვითარების პოტენციალი;
- სოფლის მეურნეობის სტრუქტურა: მეურნეობების სიდიდე, პროდუქციის სტრუქტურა, ინტენსივობა, არსებული პრობლემები და კონფლიქტები;
- გარემო: მდგომარეობა ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პოტენციალი და გარემოს დაბინძურების ხარისხი.

რეგიონის მდგომარეობის ანალიზის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო პრობლემურ საკითხებზე, არამედ სიძლიერესა და პოტენციალზე. მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა შედეგებითი უპირატესობა აქვს რეგიონს პოტენციალის გამოყენების შედეგად.

ერთგანზომილებიანი ინდიკატორები:

სხვადასხვა წყაროში უკვე არსებული სტატისტიკური მონაცემები:

ინდიკატორების გამოყენება შეზღუდულია იმის გათვალისწინებით, რომ ინტერპრეტირება მხოლოდ ერთი განზომილებით შეიძლება და არ გამოიყენება სუსტი სტრუქტურის მქონე რეგიონის იდენტიფიცირებისათვის, თუმცა შესაძლებელია პრობლემური სექტორების მქონე რეგიონის იდენტიფიცირება.

მრავალგანზომილებიანი ინდიკატორები:

ცალკეული ინდიკატორების სხვადასხვა კომბინაცია, მაგ. ეკონომიკური მხარდაჭერისათვის შესაძლებელია კომბინაციის გამოყენება, რომელიც შედგება 4 ცალკეული ინდიკატორისგან:

- უმუშევრობის კვოტა (40%);
- საშუალო ხელფასი (40%);
- ინფრასტრუქტურის მდგომარეობის ინდიკატორი (10%);
- სამუშაო ადგილების განვითარების საპროგნოზო ინდიკატორი (10%).

გამოყენება: ხშირ შემთხვევაში განვითარებას აფერხებს სხვადასხვა დონეზე არსებული ფაქტორების კომბინაცია, რომელთა გამოვლენა მხოლოდ მრავალგანზომილებიანი ინდიკატორების გამოყენებით არის შესაძლებელი.

ანალიზის ხარისხობრივი მეთოდები

რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებით რეგიონის პოლიტიკის განსაზღვრის დროს შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნაწილის დაფარვა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება პატარა სივრცეებისა და რეგიონების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ მიმართავენ იმ ხარისხობრივ ფაქტორების შეფასებას, რომლებიც რეგიონის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი მიზეზი არის აგრეთვე ის, რომ ევროპულ რეგიონულ პოლიტიკაში აუცილებელია რეგიონის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პასუხისმგებლობის შეგრძნების ამაღლება რეგიონის დაგეგმარებისა და განვითარების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის თანამონაწილეობა განვითარების პროცესში, ასევე აუცილებელია ანალიზის ისეთი სახით ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს ხარისხობრივად ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას.

ხარისხობრივი ანალიზის ჩასატარებლად მიმართავენ მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფი. მათი დავალებაა კონკრეტული მიმართულებით სიტუაციისა და მისი განვითარების შეფასება. ამ დროს უნდა იყოს გამოყენებული რაოდენობრივი ინდიკატორები და მოხდეს მათი დამუშავება.



ხარისხობრივი ანალიზის მეთოდების მაგალითები:

- მოსახლეობის ჯგუფების გამოკითხვა ცხოვრების დონის შესახებ რომელიმე კონკრეტულ სოფელში;
- თემების დონეზე განვითარების მიმართულებების განხილვა, მაგ. „მომავლის სახელოსნო“ ან „მომავლის კონფერენცია“;
- მოსახლეობის ჩართულობით რეგიონის SWOT-ანალიზის ჩატარება;
- კონკრეტულ თემებსა და საკითხებზე ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები;
- ინოვაციაზე მოთხოვნა საკვანძო პირებთან გასაუბრების შედეგად;
- რეგიონების ერთმანეთთან შედარება (მაგ. ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ინოვაციური პროექტების რაოდენობა).

ხარისხობრივი ანალიზის მიზნები:

- სტატისტიკური ანალიზის გამყარება, სხვადასხვა მოთამაშის ცნობიერების ამაღლება იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელთა განხორციელებაც დამოუკიდებლად არის შესაძლებელი;
- რეგიონის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება და პრიორიტეტების დასახვა, რომლებიც უნდა შეირჩეს რეგიონის განვითარებისათვის;
- არსებული სიტუაციის ანალიზი თემატური სამოქმედო არეალის განსაზღვრისათვის;
- კონკურენტული უპირატესობების ანალიზი რეგიონული მარკეტინგისათვის.

რეგიონის განვითარების მიზნების განსაზღვრა

რეგიონის მიზნების ფორმულირების დროს მიზანშეწონილია განვითარების მიმართულების წინასწარი განსაზღვრა. მიმართულება, განვითარების მოდელი, მიზნისგან განსხვავებით, არის იმ მდგომარეობის აღწერა, რომელსაც გვინდა მივაღწიოთ განვითარების შედეგად.

განვითარების მოდელი - მომავლის ხედვის თვისობრივი აღწერა, რომელიც უნდა შესრულდეს კონკრეტულ პერიოდში. განვითარების მიმართულება ეყრდნობა რეგიონის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და აჩვენებს, რა მიმართულებით უნდა წავიდეს რეგიონი. მიმართულება უნდა განვითარდეს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით და იყოს მარტივად ფორმულირებული. მაგალითად:

- ახალგაზრდული რეგიონი
- დასვენების და განტვირთვის რეგიონი

მიზანი - განვითარების მიმართულებისგან განსხვავებით, მიზნები მაქსიმალურად კონკრეტული და გადამოწმებადი უნდა იყოს (მაგ. სიდიდეები - შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე; სიდიდეების ცვლილებები - უმუშევრობის დონის შემცირება; სიდიდეებს შორის თანაფარდობა). მიზნები უნდა იყოს ე.წ. „SMART“ (ინგლისური სიტყვაა და თარგმანში ნიშნავს გონივრულს)

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული)
- M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა)
- A (Achievable) = მიღწევადი
- R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით)
- T (Time-bound) = დროში განწერილი (აქვს დაწყებისა და დასრულების განსაზღვრული ვადები)

მაგალითად: 2024 წლისთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უნდა აშენდეს საბავშვო ბაღი, რომელიც გათვლილი იქნება, მინიმუმ, 20 აღსაზრდელზე.



სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ორი ასპექტი:

- რეგიონში არსებულ და უკვე დაგეგმილ პროცესებზე ორიენტაცია (არ არის საჭირო ყოველთვის სიახლის გამოგონება);
- კონკრეტულ სფეროებზე კონცენტრირება: სასურველია ისეთ საკითხებსა და ფაქტორებზე კონცენტრირება, რომელთა დამოუკიდებლად განხორციელებას დიდი ეფექტი ექნება.

სტრატეგიის მიზანია რესურსებისა და საშუალებების ისე გამოყენება, რომ კონკრეტული მიზნები ეფექტიანად შესრულდეს. იქ, სადაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და მხოლოდ სავარაუდო ზოგადი მიზნებია, ყოველთვის რჩება ადგილი მიკერძოებული მიზნების მისაღწევად. სწორედ ამიტომ, უკეთესია, დიდი დრო დაიხარჯოს მიზნებისა და სტრატეგიის შემუშავებაზე.

განვითარების პროცესის მონაწილეებისათვის გასაკები უნდა იყოს შემდეგი ურთიერთკავშირები:

- განვითარებისათვის საჭიროა კონცენტრირება განსაკუთრებით ეფექტიან მიმართულებებზე და არა ერთდროულად ბევრ მიმართულებაზე;
- საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების რეალისტური შეფასებები, რათა წარმატებით მოხდეს გამოწვევების დაძლევა დროის ფაქტორის გათვალისწინებით;
- დახარჯული, ან ჩადებული რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენება;
- ინდივიდების სარგებლის ურთიერთდაკავშირება და მისი მართვა, რათა კერძო სუბიექტების სარგებელი მთლიანი რეგიონის თუ თემის სარგებლად გარდაიქმნას; ეს მოითხოვს ცალკეული აქტივობების კარგ კოორდინაციას;
- ყოველი ქმედების ურთიერთშეთანხმება პროცესში ჩართულ მხარეებს შორის; დროის მენეჯმენტი, პროცესების მონიტორინგი და კონტროლი.

საკვანძო სფეროები: ფაქტორები ან პირობები, რომლებიც რეგიონის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია; ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებული პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვა პრობლემებს, ან აფერხებს განვითარებას; შეიძლება იყოს აგრეთვე ძლიერი მხარე ან განვითარების პოტენციური რომელიმე თემში ან სოფელში, რომლის წახალისება ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას.

პოტენციალისა და საკვანძო პრობლემების ანალიზის სხვადასხვა მეთოდიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ე.წ. SWOT-ანალიზი (Strengths and Weaknesses, Opportunities and Threats).

მნიშვნელოვანი ასპექტია მიზნების პრიორიტეტულობა. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი უნდა შეთანხმდეს იმაზე, თუ რომელი მიზანია ყველაზე პრიორიტეტული, რომელია მეორე, მესამე და ა.შ. მიზნების პრიორიტეტიზება მნიშვნელოვანია ასევე, თუ გავითვალისწინებთ ლიმიტირებულ რესურსებს. პრიორიტეტიზება შესაძლებელს ხდის გამოვრიცხოთ საქმიანობები, როდესაც არ არის საკმარისი ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, საშუალება გვძლევა მეტი ფინანსური რესურსი მივმართოთ პრიორიტეტული საქმიანობებისკენ და წინა პლანზე გადმოვიწიოთ ისინი სტრატეგიის განხორციელების დროის გრაფიკში.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელების თანმიმდევრული სისტემა



გაზომვადი მიზნების იდენტიფიცირება რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში

რეგიონის გამომწვეული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო მიზნებს, ამისათვის საჭიროა:

- ერთი მხრივ, განვსაზღვროთ ობიექტური საჭიროება (სად გვაქვს დეფიციტი);
- გავითვალისწინოთ პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფაქტორები (რა არის შესაძლებელი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განვითარების მიზნები არის ერთგვარი კომპრომისი. ამ კომპრომისის საპოვნელად რეგიონის განვითარების პროცესში ჩართული უნდა იყოს მაქსიმალურად ბევრი ინტერესთა ჯგუფი (ადგილობრივი მოსახლეობა, ეკონომიკური სუბიექტები, ასოციაციები, პოლიტიკოსები და ა.შ). მიზნების იდენტიფიცირების დისკუსიაში ადგილი აქვს:

- მიზნებს შორის კონკურენციის ამოცნობას (მაგ.: ეკოტურიზმისა და რეგიონული ინდუსტრიის განვითარება);
- პრიორიტეტების დასახვა, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა მიზნები.

ამის განსახორციელებლად მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიოდ ფორმულირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ რეკომენდაციებისა და სურვილების ჩამონათვალს.

დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს შორის კონფლიქტი, რაც ძირითადად განსაზღვრავს ამა თუ იმ საკითხის მდგრადობას. ეს ეხება როგორც მჭიდროდ დასახლებულ ეკოლოგიურად დატვირთულ რეგიონებს, ასევე სოფლის სივრცეებს. პირველ შემთხვევაში ეკოლოგია არის დეფიციტური ფაქტორი, ხოლო მეორე შემთხვევაში - ეკონომიკური ფაქტორი. მიზნების კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სივრცითი დაგეგმარება იყენებს შემდეგ მიდგომას:

- ინდუსტრიული რეგიონების განვითარება იქ, სადაც ამის საფუძველია და უკვე არის ინდუსტრიის ბაზისი;
- ისეთი ადგილების გამოყოფა, სადაც ნაკლებად არის გარემო დაბინძურებული, და მისთვის გარემოსდაცვითი, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი და სარეკრეაციო მიმართულების მიცემა.

ინდიკატორების საშუალებით შეგვიძლია, გავიგოთ ამა თუ იმ სივრცის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც ამავდროულად გვეხმარება, გავიგოთ რეგიონის საჭიროებები განვითარებისათვის. ამაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ფინანსური რესურსებისა და სხვადასხვა პროგრამის დანაწილება. პროცესი მოითხოვს სვადასხვა დარგობრივი ჯგუფისა და ექსპერტის ჩართულობას.

¹ (2018) ანგარიში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხილვის შედეგების შესახებ ბორჯომის, ყაზბეგისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. ევროპის სოფლის განვითარების LEADER ასოციაცია.

პროქტების დაგეგმვა და განხორციელება

რეგიონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის შედეგად მას შემდეგ რაც გამოიკვეთება განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროა ზუსტი სამოქმედო არეალის განსაზღვრა და საპროექტო იდეების შემუშავება. იმისათვის, რომ სწორად შევარჩიოთ სამოქმედო არეალი და დაგვეგმოს კონკრეტული ქმედებები უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- ვის ესაჭიროება კონკრეტული ცვლილება და რა კონკრეტული სიტუაცია უნდა შეიცვალოს;
- ვის აქვს ინტერესი, რომ შეიცვალოს; ვინ არიან ძირითადი მოთამაშეები და რა ურთიერთობა აქვთ მოთამაშეებს ერთმანეთთან;
- არის თუ არა მზაობა მოთამაშეების მხრიდან შესაცვლელად;
- რომელი საპროექტო წინადადებები გადაჭრის ყველაზე ოპტიმალურად არსებულ პრობლემებს;
- არსებული სიტუაციის და გარემო პირობების გათვალისწინებით, რა ცვლილებებია გონივრული;
- ვინ ისარგებლებს და ვინ იზარალებს დაგეგმილი ცვლილებებით;
- რა განსხვავებები და საერთო მიდგომები აქვთ პროცესის მონაწილეებს მიზნების მიმართ;
- რა კრიტერიუმებით ვაფასებთ მიზნებს.

რეგიონული განვითარებისთვის სამოქმედო არეალის განსაზღვრისა და საპროექტო წინადადებების შემუშავებისათვის რეკომენდირებულია ქვემოთმოცემული მეთოდის გამოყენება (იხ. დანართი 1.):

1. მოქმედების არეალის აღწერა;
2. ქმედების მიზნის და ინდიკატორის აღწერა;
3. შედეგების აღწერა რაც მიიღწევა კონკრეტული პროექტებისა და ქმედებების ერთობლივად განხორციელების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ქმედების მიზნის მიღწევას;
4. აქტივობების და პროექტების აღწერა, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა შედეგი;
5. რა არსებული იდეები და რესურსები შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შედეგების მისაღწევად;
6. ვინ და რომელი ინსტიტუციები უნდა ჩავრთოთ ამ შედეგების მისაღწევად.

საქმიანობები და ფინანსური გეგმა

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია უნდა შეიცავდეს რეალურ, მკაფიოდ განწერილ და ლოგიკურ სამოქმედო გეგმას, რომელიც ტექნიკურად განხორციელებადი იქნება. მან უნდა განსაზღვროს, თუ რა არის გასაკეთებელი, დაასაბუთოს ამის აუცილებლობა, ასევე, ვის მიერ და როდის უნდა გაკეთდეს. მას თან უნდა ახლდეს ფინანსური რესურსების ალოკაციის გეგმა. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს მისი განხორციელების ჩარჩო იმ ქმედებების დაგეგმვით, რომელიც ადგილობრივი მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს. რეკომენდებულია, რომ სამოქმედო გეგმაში მოცემული იყოს წლიურად განწერილი დაგეგმილი ქმედებები იმ პერიოდის გათვალისწინებით, რაც სტრატეგიის განხორციელებისთვისაა განსაზღვრული.

სამოქმედო გეგმაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტრატეგიით განსაზღვრული საქმიანობები. სტრატეგიის ლოგიკური სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს და მოიცავდეს იმ მიზნებს, რაც ნათელს ხდის, თუ რატომ იქნა შერჩეული ესა თუ ის ქმედება სტრატეგიის განსახორციელებლად. მიზნების, საქმიანობების, მისაღები ზომების/ქმედებების ტიპებისა და ინდიკატორების თანმიმდევრულობა მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს სულ მცირე ოთხი საკითხი:

- რა ტიპის ქმედებებს ითვალისწინებს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მიზნის მისაღწევად;
- ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ ქმედებების განხორციელებაზე (ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, სხვადასხვა პროექტის ბენეფიციარები თითოეული ქმედების ნაწილში);
- როდისაა დაგეგმილი ამ ქმედებების განხორციელება (სტრატეგიის განხორციელების დროის გრაფიკი);
- რა მოცულობისაა საქმიანობებისთვის განსაზღვრული ფინანსური ალოკაციები. თითოეული ქმედებისთვის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროცენტულად.

ფინანსური გეგმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინდეს, რომ ინვესტიციები შეესაბამება თემის მიერ განსაზღვრულ მიზნებს და რომ მათი მიღწევა რეალისტურია დაგეგმილ ვადებში და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით. კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას ბიუჯეტის რეალურობას, მიზანმიმართულობას და ნებისმიერი მოსალოდნელი რისკის გათვალისწინებას.

რისკის ანალიზი

სტრატეგიაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს რისკების შესაფასებლად, მათი ნეგატიური ზეგავლენის პრევენციისა და შერბილებისათვის საჭირო ადგილობრივი განვითარების ჯგუფის უნარებისა და მეთოდების აღწერას. აქვე შეიძლება განვიხილოთ როგორც გარეშე რისკები, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს, ასევე შიდა რისკები - ადამიანური რესურსების, ადმინისტრაციული ხარჯების, ლიმიტირებული ბიუჯეტებისა და ა.შ. სახით. ადგილობრივი განვითარების ჯგუფებმა უნდა გაითვალისწინონ რისკები, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე და წინასწარ განსაზღვრონ პრევენციული ქმედებები ამ რისკების შესარბილებლად, თავიდან ასაცილებლად ან სამართავად.

ერთ-ერთი მიდგომა, რომელსაც რისკის ანალიზის დროს შეიძლება გამოვიყენოთ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში, შემდეგი ცხრილის ფორმატის გამოყენებაა (ცხრილი მოიცავს პოტენციური რისკების მაგალითებს, რისკების ჩამონათვალი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ სიტუაციას):

რისკის ანალიზის სანიშნო ცხრილი

გარეშე რისკები				
აღწერა	რეალიზების პოტენციალი	ზეგავლენა	პრევენციული ზომები	შემარბილებელი/ მაკორექტირებელი ზომები
პოლიტიკური ფაქტორები				
ცვლილებები კანონმდებლობაში	საშუალო	ძლიერი	მიმდინარე კოოპერაცია შესაბამის პარტნიორებთან პოტენციური ცვლილებების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად	სტრატეგიის გადახედვა
ეკონომიკური ფაქტორები				
ზოგადი ეკონომიკური რეცესია კონკრეტულ სექტორში	საშუალო	საშუალო	განვითარების სხვადასხვა სცენარების წინასწარგანჭვრეტა, მოქნილობა	სტრატეგიის ადაპტირება, მაგალითად თანადაფინანსების ოდენობის შეცვლა
სოციალური ფაქტორები				
განვითარების დონეებს შორის სხვაობის ზრდა ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ტერიტორიაზე	საშუალო	საშუალო	განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცენრიდან მოშორებულ განაპირა უმოქმედო რეგიონებს	ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა
ტექნოლოგიური ფაქტორები				
უმოქმედო ვებ-სისტემები (ვებ-გვერდები, პროექტის განაცხადის შეტანის ფორმატი, ა.შ.)	მაღალი	საშუალო	მუდმივი და საიმედო კოოპერაციისთვის პარტნიორის მოძიება ტექნიკური დახმარების მომსახურების გასანგევად	ეფექტური თანამედროვე ვებ-საშუალებების უწყვეტი განვითარება

შიდა რისკები				
ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გაზრდილი ადმინისტრაციული ხარჯები	საშუალო	მაღალი	თანამშრომელთა უწყვეტი ტრენინგი, მჭიდრო კოოპერაცია პარტნიორებთან, ეფექტური მენეჯმენტის მექანიზმები და მეთოდები (IT-სისტემები)	ახალი დამატებითი თანამშრომლების აყვანა, გარეშე კონსულტაციები

მონიტორინგი და შეფასება

ევროკავშირის რეგულაციურ ჩარჩოში არსებობს კიდევ ერთი ახალი ასპექტი, რომელსაც ადგილობრივი განვითარების ჯგუფებმა ყურადღება უნდა მიაქციონ: უნდა განისაზღვროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შეფასების მონიტორინგის და შეფასების კონკრეტული მეთოდები. **ყველა მიზანი უნდა შეესაბამებოდეს შედეგებისა და გავლენის გამოშვად ნიშნულებს.** სტრატეგიაში აღწერილი უნდა იყოს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები, ხოლო მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობის დეტალური პროცედურები - შეფასების გეგმაში.

მონიტორინგის მიზანია მიიღოს უკუკავშირი, თუ როგორია თქვენი მუშაობის პროგრესი ადგილობრივი განვითარების ჯგუფში - რამდენად უახლოვდებით თქვენს დასახულ მიზნებს. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შემუშავდეს გამჭვირვალე, მარტივი და იოლად ხელმისაწვდომი მონიტორინგის სისტემა. მიმდინარე მონიტორინგის პროცესი მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შეფასების პროცესთან, რადგან იგი ურუნველყოფს საბაზისო ინფორმაციების მიწოდებას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პროგრესის პერიოდული შეფასებისთვის.

სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ორგანიზების ნიმუში მოყვანილია ქვემოთ.

როგორც ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ნებისმიერ ნაწილში, აქაც მკაფიო ლოგიკური კავშირი უნდა არსებობდეს საჭიროებებს, შემოთავაზებულ აქტივობებს/მისაღებ ზომებსა და რესურსებს შორის, რათა გარკვევით გამოჩნდეს ის ძირითადი ფოკუსი და მიმართულება, რისთვისაც აღნიშნული განხორციელდა. ეს მნიშვნელოვანია ნებისმიერი შეფასებითი საქმიანობის წარსამართად, იქნება ეს თვითშეფასება, თუ გარეშე კონტრაქტის საფუძველზე შესრულებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი განვითარების ჯგუფებმა უნდა გაიაზრონ და მკაფიოდ დააფიქსირონ, თუ კონკრეტულად რის მონიტორინგსა და შეფასებას აპირებენ, ან რისი მიღწევა სურთ მონიტორინგისა და შეფასების გზით. აღნიშნული აუცილებელია ამ ქმედებების ეფექტურად და ეფექტიანად დასაგეგმად, რესურსების მოსაძიებლად და განსახორციელებლად. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფაქტი, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დიზაინმა და განხორციელებამ საჭირო დახმარება გაუწიოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მუშაობას. მიზნები უნდა ემსახუროდეს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას მისი კონკრეტული ინტერვენციის ლოგიკისა და საქართველოში LEADER მიდგომის განხორციელების კონკრეტული მიზნების, ან სახელმწიფო სტრატეგიის

მიზნების გათვალისწინების კუთხით. ამის უგულებელყოფა და შეუსრულებლობა წარსულში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე ერთ-ერთ ძირითად სისუსტედ იქნა მიჩნეული ევროპის სასამართლოს აუდიტორთა მიერ.

სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ორგანიზების ნიმუში

	სტრატეგიის მონიტორინგი	სტრატეგიის შეფასება
ორგანიზატორი	ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შესაბამისი ორგანო (საბჭო, მონიტორინგის კომისია, ა.შ.)	ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შესაბამისი ორგანო (საბჭო, მონიტორინგის კომისია, ა.შ.)
პასუხისმგებელი ორგანო	ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თანამშრომლები	ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თანამშრომლები / ექსპერტები
მონიტორინგის საგანი	<ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტის ხარჯვა • შემოსული აპლიკაციების სტატისტიკა • პროექტების წვლილი სტრატეგიის მიზნებისა და ინდიკატორების შესრულებაში • ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ანიმაციური აქტივობები და კოოპერაციული პროექტები • წვლილი სახელმწიფო სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში 	<ul style="list-style-type: none"> • წლიური მონიტორინგის ანგარიშები • განხორციელებული პროექტების შედეგები და გავლენა
ვადები	მიმდინარე	ერთხელ მთელი პერიოდის მანძილზე
საანგარიშო პერიოდი	წლიური	4 წელი
	საბჭო (ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ქმედითი ორგანო)	გენერალური ასამბლეა (ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანო)
ანგარიშის მიზანი	წლიური სტრატეგიის განხორციელების გეგმის მომზადება; განხორციელების მექანიზმების სრულყოფა	სტრატეგიის რევიზია

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სტრატეგიის გადახედვის საჭიროების დადგომის ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება იქცეს. სტრატეგიის განხორციელების ნაკლოვანებებმა შესაძლოა სწორედ სტრატეგიის გადახედვის საჭიროებამდე მიგვიყვანოს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამტკიცდეს, თუ რამდენად ადეკვატური და ფუნქციური მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იყო შემუშავებული. გარდა აღნიშნულისა, სტრატეგიის გადახედვის საჭიროება შესაძლოა დადგეს სხვა მიზნის ან აშკარა (ფორმალურ) მიზეზთა გამო, მაგალითად, გარემოებათა სიტუაციის მნიშვნელოვანი ცვლილებები, ადგილობრივი სიტუაციური ცვლილებები (წევრობა) ან ფინანსური სიძნელეები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია აისახოს, თუ როგორ აპირებს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ამ ცვლებად გარემოებებთან გამკლავებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში იმის მითითება, რომ განახლებული მიზნები კვლავაც გაბომვადი უნდა დარჩეს, თუკი მოხდება სტრატეგიის გადახედვა და ცვლილებების შეტანა.

სასოფლო არეალის იდენტიფიცირება – სოფლის ეკონომიკური სივრცის შესაძლებლობები და პრობლემები



ფოტო: გიორგი ნაკაშიძე

ეკონომიკური სივრცის გამოყოფა/შემოსაზღვრა ხდება სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად. ძირითადი ფაქტორებია: ბუნებრივი, გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური-ინსტიტუციური. ასეთი სივრცეები ხასიათდებიან სტრუქტურული, ფუნქციური და ინსტიტუციური მონწყობის საერთო თვისებებით, რომელთა მეშვეობით გამოირჩევიან სხვა ადგილებისგან.

სოფლის სივრცის დასახასიათებლად არ არსებობს უნივერსალური მიდგომა თუ წესი, მაგრამ არსებობს კრიტერიუმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საერთოა და ხშირად იყენებენ პრაქტიკაში, როგორც სასოფლო არეალის განსაზღვრის მახასიათებლებს:

- მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვე (მოსახლე/კმ²);
- კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაზე;
- შედარებით დეფიციტური ინფრასტრუქტურა;
- პერიფერიული მდებარეობა მსხვილი ცენტრებიდან.

სახელმწიფოს მიერ სივრცითი დაგეგმარების დროს გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- ცენტრთან სიახლოვე;
- მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- ცენტრალური ადგილებისა და მისი შემოგარენის ურთიერთკავშირი.

სახელმწიფო დაგეგმარება გამოყოფს სამ ძირითად ტიპს:

- დიდი ურბანული ზონები;
- მჭიდროდ დასახლებული ზონები;
- სასოფლო რეგიონები.



დასახლების ტიპები საქართველოში

მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა და ქალაქი.

- **სოფელი** - დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე;
- **დაბა** - დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არ არის არსებითად ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;
- **ქალაქი** - დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტული, სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებათა ქსელი, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის მოაზრებულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

სასოფლო რეგიონის ფუნქციები

სასოფლო რეგიონის როლი სივრცით დაგეგმარებაში ნაკლებად ეფუძნება მის ტრადიციულ-ისტორიულ კონტექსტს. სასოფლო რეგიონის ფუნქციებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რაც განაპირობებს ურბანული მოსახლეობის მოთხოვნილებისა და აგრარული სტრუქტურის ცვლილებებმა.

აგრარული და სატყეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების ფუნქცია: სასოფლო რეგიონი წარმოადგენს ადგილს, სადაც ინარჩუნება ნედლეული შემდგომი გადამუშავებისათვის. სასოფლო რეგიონებში წარმოებული პროდუქცია ძირითადად წარმოადგენს ჰომოგენურ პროდუქციას. როგორც ცნობილია, ქვეყნების მიხედვით ხდება წარმოებული ნედლეულით თვითუზრუნველყოფის დონის განსაზღვრა. ქვეყნების მიერ თვითუზრუნველყოფის რაოდენობრივი მიზნების (100%) დასახვას ხშირ შემთხვევაში აღემატება მოსახლეობის მიერ აქცენტის გაკეთება ხარისხობრივ მიზნებზე, როგორებიცაა: ახალი პროდუქცია, ჰიგიენური ნორმების დაცვა, გადამუშავების დროს სხვადასხვა სტანდარტის დაცვა, რეგიონული წარმომავლობის დაცვა.

აგრარული და სატყეო პროდუქცია უფრო და უფრო იღებს განახლებადი ენერჯის დატვირთვას.

² (2014) საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი



ფოტო: enpard.ge



დასახლებისა და საცხოვრებელი ადგილის ფუნქცია: მჭიდროდ დასახლებული ადგილები არის სასოფლო რეგიონების ტრანსფორმაცია, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- მოსახლეობის ზრდა;
- წარმოების სპეციალიზაცია;
- რეგიონის გარეთ ვაჭრობა.

იშვიათად გვხვდება ტრანსფორმაცია ურბანული ზონების სასოფლო ზონებად გარდაქმნის მიმართულებით. უმეტესად ქალაქების შემოგარენში სასოფლო რეგიონების ურბანიზაციას აქვს ადგილი.

სოფლის მოსახლეობისათვის სოფელს აქვს არა მარტო საცხოვრებელი ფუნქცია, არამედ სხვა ღირებულებებიც. ეს შეიძლება იყოს სამშობლოს განცდა და კუთვნილება ამ ადგილების მიმართ.

წარმოების განთავსების ფუნქცია: საწარმოო ეკონომიკა თავდაპირველად დაკავშირებული იყო აგრარული და სატყეო პროდუქციის დამუშავებასა და გადამამუშავებასთან, რეგიონულ ხელოსნობასა და მომსახურებასთან. ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად სოფლის პროდუქციის გადამამუშავების ინდუსტრიის ადრინდელი ფუნქცია მჭიდროდ დასახლებულმა რეგიონებმა შეითავსეს.

სოციალური ფუნქცია: სასოფლო რეგიონი არის მიწისა და საცხოვრებლის საკუთრების მაგალითი. სოციალურ ფუნქციას მიეკუთვნება აგრეთვე სასოფლო და სატყეო ფონდის მიწების გამოყენება სპორტის თუ რეკრეაციის ადგილებისათვის ეკოლოგიური და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების გათვალისწინებით.

გაჯანსაღების, დასვენებისა და რეკრეაციის ფუნქცია: სასოფლო რეგიონები მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის წარმოადგენს სასმელი წყლისა და სუფთა ჰაერის წარმოქმნის ადგილს.



ფოტო: გიორგი ნასრაშვილი




სასოფლო რეგიონების მნიშვნელობა


ხშირად ურბანული და სასოფლო დასახლებები საპირისპირო მნიშვნელობის ცნებებად მიიჩნევა, თუმცა ისინი ერთმანეთის შემადგენელი ნაწილებია და მათ სჭირდებათ ერთმანეთი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა, 3.68 მილიონ ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის 40% ცხოვრობს სოფლად. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 24%-ით შემცირდა 2002 წელთან შედარებით. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (37.4% რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, 29% სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში).

მოსახლეობის განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით




მოსახლეობის რიცხოვნობის მატება/კლება 2002 წლის აღწერასთან შედარებით რეგიონულ ჯრილში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილება ქალაქის/სოფლის ჯრილში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასახლებების ტიპების მიხედვით განსხვავებულია განათლების დონის შესახებ მონაცემები. მაგ. უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის 78,0% საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს, ხოლო 22,0% - სასოფლოში. სრული ზოგადი განათლების მქონეთა 47,2% საქალაქო დასახლებებშია, ხოლო 52,8% - სასოფლოში.³

10 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლება განათლების მიღწეული დონის მიხედვით ქალაქის/სოფლის ჭრილში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რა გამოარჩევს სასოფლო რეგიონებს სხვა ტიპის დასახლებებისგან

მდებარეობა

სასოფლო რეგიონებისათვის დამახასიათებელია ცენტრალური რეგიონებიდან მოშორებული მდებარეობა. თუმცა, შესაძლებელია, რომ ცენტრთან ახლოს მდებარე რეგიონიც ხასიათდებოდეს სასოფლო სტრუქტურით. დასახლების დაბალი სიმჭიდროვე და გეოგრაფიული მდებარეობა გამოარჩევს სოფელს ქალაქისგან.

ბუნებრივი ლანდშაფტი და რეკრეაციული ადგილები

სასოფლო რეგიონების ლანდშაფტი და რეგიონული თავისებურებები ქმნიან გასტრონომიისა და დასვენების მრავალფეროვნებას.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სურსათისა და ენერჯის წარმოება

ნედლეულის წარმოებისთვის საჭიროა მიწა, რომელიც არის შეზღუდული რესურსი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი შეადგენს საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 40%-ს და მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ყოველწლიურად მცირდება. ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციების გათვალისწინებით, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყეებს.

რას გვთავაზობენ სასოფლო რეგიონები და რა გამოწვევებია სოფლად

შეკითხვაზე, როგორ უნდა განვითარდეს საქართველოში სასოფლო რეგიონები, არ არსებობს ზოგადი და ერთიანი პასუხი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს რეგიონები და სასოფლო დასახლებები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სჭირდებათ განსხვავებული მიდგომა და განვითარების განსხვავებული სტრატეგია. გამონწვევები დიდია, თუმცა ამავდროულად დიდია განვითარების პერსპექტივა და პოტენციალი.



ცხოვრება სოფლად



სასოფლო რეგიონები გამოირჩევა საკუთრებაში არსებული მიწის შედარებით დიდი ფართობებით, სახლებითა და საკარმიდამო ნაკვეთებით. თუმცა სულ უფრო ხშირად ვხვდებით დაცარიელებულ სახლებსა და სოფლებს.

ჯანდაცვა



სასოფლო რეგიონებში აღინიშნება ჯანდაცვის ობიექტებისა და სამედიცინო პერსონალის სიმცირე. ხშირ შემთხვევაში დიდია მანძილი ავთიაქამდე და სამედიცინო პუნქტამდე.

დასაქმება სოფლად



მჭიდროდ დასახლებულ ადგილებთან შედარებით სასოფლო რეგიონები განვითარების დაბალი ტემპით ხასიათდება. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სუსტი სტრუქტურის მქონე რეგიონების ეკონომიკურად გაძლიერების, შემოსავლებისა და დასაქმების ზრდისკენ.

განათლება



სასოფლო რეგიონებში ბოლო პერიოდში აღინიშნება მოსწავლეების რაოდენობის კლება. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში სკოლები იხურება. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს კომპლექსურ, რეგიონულ მიდგომას.

მიწის ფონდის გამოყენება



მჭიდროდ დასახლებული ადგილებისგან განსხვავებით, სასოფლო რეგიონები ხასიათდება უფრო მეტი აუთვისებელი ნაკვეთებით ბუნებრივი ლანდშაფტით. ხშირია სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ფონდის მიწების კატეგორიის შეცვლის ფაქტები და მათი ათვისება სხვა დანიშნულებით.

მდებარეობა



საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოსახლეობისა და მენარმეებისათვის არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი საცხოვრებელი თუ საწარმოო ადგილის შერჩევისათვის.

საბაზისო ინფრასტრუქტურა



არსებობს რეგიონები, სადაც არის სასმელი წყლის დეფიციტი, აგრეთვე გაუმართავია შიდა გზები.

დასვენება



დასვენება სოფლად სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. შესაბამისად, ტურიზმის განვითარება დადებითად აისახება სოფლის განვითარებაზე.

ცხოვრება სოფლად

როგორია ცხოვრების პირობები, როგორია ადგილის განაშენიანება, საკმარისია თუ არა საცხოვრებელი ადგილები და რამდენად ხელმისაწვდომია - ამ შეკითხვებზე პასუხი დიდწილად გამოხატავს რეგიონის მიმზიდველობას საცხოვრებლად.

საქართველოში დემოგრაფიული ცვლილება და მოსახლეობის დაბერება განსაკუთრებით თვალშისაცემია სოფლად. გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში მიდის, მაღალია შიდა მიგრაციის დონეც. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი ურბანულ ცენტრებში, ძირითადად, ქალაქებში მიემართება. მიგრანტების განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის შემოდინება დედაქალაქში ხდება. სოფლის ტერიტორიებიდან მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზია სამუშაო ადგილების ნაკლებობა ან არარსებობა. სტატისტიკის მიხედვით, მიგრაციის მანქვინებელი მამაკაცებში გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალებში. ასევე, ხარისხობრივი კვლევები აჩვენებს, რომ სოფლად შინამეურნეობების დიდი ნაწილი დამოკიდებულია ქალების შრომაზე.

2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, მოსახლეობის საშუალო ასაკი 2 წლით გაიზარდა და 38,1 წელი შეადგინა. შესაბამისად, გაიზარდა მამაკაცთა საშუალო ასაკი 34,3 წლიდან 35,9 წლამდე, ხოლო ქალებისა - 37,8 წლიდან 40,1 წლამდე. რეგიონულ ჯრილში ყველაზე დაბალი საშუალო ასაკი დაფიქსირდა ქვემო ქართლის (35,6 წელი), ხოლო ყველაზე მაღალი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში (48,2 წელი).⁴

მოსახლეობის საშუალო ასაკი სქესის მიხედვით რეგიონულ ჯრილში (წელი)

რეგიონი	სულ	მამაკაცი	ქალი
საქართველო	38.1	35.9	40.1
ქ. თბილისი	36.3	33.8	38.4
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	35.7	34.0	37.4
გურია	41.8	39.4	44.1
იმერეთი	40.5	38.3	42.6
კახეთი	40.2	37.9	42.5
მცხეთა - მთიანეთი	39.8	37.8	41.9
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	48.2	45.4	50.8
სამეგრელო - ზემო სვანეთი	40.8	38.4	43.1
სამცხე - ჯავახეთი	37.7	35.6	39.7
ქვემო ქართლი	35.6	33.6	37.5
შიდა ქართლი	38.8	36.8	40.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლებების სიდიდით, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპებით. დაბლობები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი შედარებით უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, ვიდრე მთიანი ადგილები.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმება სოფლად

სოფლად ცხოვრებაზე მოთხოვნის ნაკლებობა იწვევს საცხოვრებელი ადგილების მიტოვებას, რასაც მოსდევს სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების შემცირება. უარესდება სოციალური მდგომარეობა სოფლად, რაც იწვევს სოფლებიდან ახალგაზრდების გადინებას.

სუსტი სტრუქტურის მქონე სასოფლო რეგიონების განვითარების დაბალი დონე არ უნდა მივიღოთ, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა. არსებობს მაგალითები, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციის გაღვივებით, არსებული რესურსების გამოყენებით სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

აღსანიშნავია ორი ძირითადი პრობლემა სოფლად დასაქმებასთან დაკავშირებით:

- კვალიფიციური მუშახელის სიმცირე;
- არაკვალიფიციური მუშახელის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი.

აღრე სოფელი და სოფლის მეურნეობა სინონიმებად მიიჩნეოდა. თუმცა დღეს მიდგომა შეიცვალა. სოფელი შეიძლება გვთავაზობდეს დასაქმების სხვა წყაროსა და პერსპექტივას. პოპულარული ხდება სოფლად ტურიზმის განვითარება, განახლებადი ენერჯორესურსების წარმოება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ მუშახელზე.

რეგიონებში მცხოვრები აქტიური მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია საოჯახო მეურნეობებში, ძირითადად კი - სოფლის მეურნეობის სფეროში. ამასთან, შედარებით უმუშევრობის დაბალი დონე არ ისახება სოფლად უკეთეს შემოსავლებსა და სიღარიბის მაჩვენებლების პოზიტიურ დინამიკაში სოფლად.

დაუსაქმებელთა დიდი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზია ქვეყანაში არსებული ე.წ. სტრუქტურული უმუშევრობა, რაც გულისხმობს შრომის ბაზარზე არსებული პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამის ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებთან. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა პროფესიული განათლების განვითარება და კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაა.

მინის ფონდი

მინა შეზღუდული რესურსია. ფერმერები, ინვესტორები, განახლებადი ენერჯის მწარმოებლები თუ სხვადასხვა მენარმე კონკურენტები არიან ამ შეზღუდული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ფონდის მინის ხარჯზე იზრდება დასახლებები, ვითარდება ინფრასტრუქტურა. მინის მდგრადი გამოყენება ქვეყნის სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს.

საქართველო მცირემინიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორია 69.7 ათასი კმ²-ია. აქედან 2005 წლის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 30.2 ათას კმ²-ს შეადგენს, საიდანაც სამინათმოქმედო მინებს (სახნავ და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავებით დაკავებულ მინებს) სულ 10.7 ათასი კმ² უჭირავს. იურიდიული სტატუსის მიხედვით, მინები საქართველოში იყოფა სასოფლო-სამეურნეო (40%) და არასასოფლო-სამეურნეო მინებად (60%). ეს უკანასკნელი კატეგორია მოიცავს სახელმწიფო და ადგილობრივი ტყის ფონდის ტერიტორიას, დაცულ ტერიტორიებს, წყლით დაკავებულ მინებს (წყლის ფონდს), ურბანიზებულ 125 და სამრეწველო ტერიტორიებს, აგრეთვე გზებითა და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობებით დაკავებულ ტერიტორიებს.⁵



საბაზისო ინფრასტრუქტურა

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურით სარგებლობა, საყიდლები, სკოლა - ეს ის ადგილებია, სადაც წასასვლელად სოფლის მოსახლეობას საკმაოდ შორი მანძილის გავლა უწევს. სადაც დაბალია მოსახლეობის რიცხვი, შესაბამისად, ნაკლებია ასეთი სერვისების მიწოდება. ეს ასევე ეხება ნარჩენების გატანას, სახანძრო და წყლის მომარაგების მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში გამართლებულია ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობა, კოოპერირება ან მობილური სერვისების მიწოდება.

სოფლის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა. ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სახელმწიფო სერვისების მიწოდება მოსახლე-

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ობისათვის მნიშვნელოვნად გამარტივდა. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით წარმატებით ფუნქციონირებს იუსტიციის სახლები, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა. იუსტიციის სახლი მომხმარებელს 400-მდე სახის სერვისს სთავაზობს ერთ ადგილზე და დღეში 18,000-მდე მომხმარებელს ემსახურება. აქ შესაძლებელია ისეთი სერვისების მიღება, როგორცაა დაბადებისა და პირადობის მოწმობებისა თუ პასპორტის მიღება, საკუთრებისა და ბიზნესის რეგისტრაცია, ქორწინების რეგისტრაცია, სააღსრულებო სერვისები და სხვ. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით, თბილისის ჩათვლით, 17 იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ სერვისების უმრავლესობა სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის დაფარული ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით, სოფლის მოსახლეობის ნაწილისათვის ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

2011 წლიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს პროექტს „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარებას, თვითმმართველ ერთეულებში მმართველობის გაუმჯობესების, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. პროექტის პირველ ეტაპზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შეიმუშავა საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფცია.

საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. საზოგადოებრივი ცენტრის მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვა სერვისებით.

საზოგადოებრივი ცენტრი არის თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე. ცენტრში დასაქმებულები არიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის საშუალებით გასცემენ ცენტრალური ხელისუფლების და კერძო სექტორის სერვისებს. ცენტრში განთავსებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ოფისი და გამოყოფილია სპეციალური სივრცე სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობად. მოქალაქეთათვის ასევე ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

სერვისებზე წვდომის გარდა, ცენტრებს ეკისრებათ მედიატორის როლი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე სამოქალაქო სექტორს საშუალება აქვს საზოგადოებრივი ცენტრი გამოიყენოს ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარსამართად, მათთვის ახალი სერვისების, ინიციატივების, საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად და მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სამი საპილოტე საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ შაშიანში, სართიჭალასა და გომში. ცენტრების წარმატებით პილოტირების შედეგად გადაწყდა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის გაფართოება.

ამჟამად საქართველოს მასშტაბით 51 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს⁶

⁶ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ იორმუღანლოში



დამისამართების პროექტი: ისეთი სახელმწიფო სერვისების მიწოდებისათვის, როგორებიცაა, მაგალითად: სარეგისტრაციო, სოციალური დახმარების, საფოსტო, სახანძრო, სასწრაფო დახმარება და სხვა, მნიშვნელოვანია, რომ სოფლის ტერიტორიები იყოს დამისამართებელი, რაც დღეისათვის სრულად არ არის განხორციელებული. პროექტის ფარგლებში განხორციელდება დასახლებულ პუნქტებში უსახელო გზებისა და ქუჩების დამისამართება და შენობების დანომრვა. პარალელურად, მონაცემები ელექტრონულ რუკაზე დაიტანება, რაც ქვეყანაში სანავიგაციო სისტემის ეფექტიან მუშაობას შეუწყობს ხელს.

განათლება

კარგი განათლება ქმნის შესაძლებლობებსა და პერსპექტივას თითოეული მოქალაქისა და რეგიონის განვითარებისათვის. სკოლების დახურვა, მოსწავლეების რაოდენობის კლება იწვევს სოფლიდან მოსახლეობის გადინებას.

პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) ხელმისაწვდომობა სოფლად დაბალია, განსაკუთრებით ფერმერებისათვის. თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური განვითარებისათვის, ასევე მოსახლეობის დასაქმების/თვითდასაქმების თვალსაზრისით.

სოფლად დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით: სკოლის ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა წარმატების დონე (სკოლის დატოვების %), პროფესიული განათლება და ა.შ. სოფლად სკოლის ხელმისაწვდომობა მაღალია. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა 85.7%-თვის სკოლები ხელმისაწვდომია. რაც შეეხება მოსწავლეთა იმ 14.3%, ვისაც სკოლაზე არ მიუწვდება ხელი, 77.3% შემთხვევაში სკოლა შორს მდებარეობს (10 კილომეტრზე მეტი მანძილი), ხოლო 17.4% შემთხვევაში გზები ცუდ მდგომარეობაშია.

სკოლის ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთი დაბრკოლება იყო დაშორებული სოფლებიდან სკოლამდე ტრანსპორტირების არარსებობა, თუმცა ამჟამად არსებობს სპეციალური სასკოლო ავტობუსები, რომლებიც მოსწავლეთა ყოველდღიურ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ. გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს სოციალური დახმარების პროგრამები, რაც მიმართულია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ, მათ შორის, სტუდენტებისათვის მაღალმთიანი და მაღალი ეკომიგრაციის რისკის მქონე ადგილებიდან, სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან, ობლებისათვის, სტუდენტებისათვის მრავალშვილიანი ოჯახებიდან (ოჯახები 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილით), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სტუდენტებისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი სტუდენტებისათვის. სოფლად სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა უფრო დაბალია, ვიდრე დაწყებითი და საშუალო განათლებისა. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობს სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 41.1%.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების კუთხით, სოფლის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში, შედარებით მაღალია სკოლის მიტოვების შემთხვევები, რისი მიზეზიც ბიჭების შემთხვევაში საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ოჯახისათვის დახმარების განწევა, ხოლო გოგონების შემთხვევაში ადრეული ქორწინებებია.



ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა ქვეყნისათვის პრიორიტეტული მიმართულებაა, თუმცა განსაკუთრებულ გამოწვევას უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ცდილობენ, სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად შეზღუდული მატერიალური რესურსის ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევას. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა პირველადი ჯანდაცვის მყარი საფუძვლის არსებობაა, რომელიც ერთგვარად აკავებს მოსახლეობის ავადობას, აუმჯობესებს ჯანმრთელობის მაჩვენებლებს და ქვეყნებს საშუალებას

აძლევს, გადაუდებელ და სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯები შეამცირონ.


სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ინკლუზიური განვითარებისათვის.

სოფლის ექიმის პროგრამა - პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრამის მოსარგებლენი არიან სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსახლეობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოფლის ექიმის ეფექტიანობის აუდიტის 2015 წლის ანგარიშის დასკვნა

ოჯახის ექიმების მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების თანახმად, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვისა და კონკრეტული სპეციალობის მქონე ექიმების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა დემოგრაფიულ-გეოგრაფიული პრინციპების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას.

ერთ სოფლის ექიმზე მოსახლეობის საშუალო რაოდენობა რეგიონების მიხედვით



იმისათვის, რომ სოფლად პირველადი ჯანდაცვა ახორციელებდეს თავის ფუნქციას, პირველ რიგში, ის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სოფლის მოსახლეობისათვის. ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს სამედიცინო პერსონალის ოპტიმალური რაოდენობა დემოგრაფიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით. არსებული მდგომარეობით, დემოგრაფიული კრიტერიუმი დადგენილი არ არის.

პირველადი ჯანდაცვის განვითარების ეროვნული გენერალური გეგმის შესაბამისად, დემოგრაფიულად სამედიცინო პერსონალის განაწილება ზღვარს აღემატება 57 ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ექიმებს 2500-ზე მეტი მოსახლის მომსახურება უწევთ. ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში 10,000-ზე მეტი ადამიანი ნაწილობრივ (ექთნის სახით) იღებს პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას.

გარდა დემოგრაფიული განაწილებისა, ხარვეზებია სამედიცინო პერსონალის გეოგრაფიული განაწილების კუთხითაც - უახლოესი ამბულატორიის პრინციპის დაცვით, ტერიტორიულ ერთეულებში არსებობს სამედიცინო პერსონალის უკეთ განაწილების პოტენციალი. პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია მაღალმთიან სოფლებში, სადაც პრობლემა 2 მიმართულებით იკვეთება:

- სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა - სოფლის ექიმები მეტწილად პროგრამის გარდა, ჯანდაცვის სხვა დაწესებულებაშიც არიან დასაქმებული;
- სოფლებს შორის დისტანცია და ტრანსპორტირების პრობლემა - ადგილობრივი მთავრობა ნაკლებადაა ჩართული ექიმების მობილობის, შესაბამისად, სერვისის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში.⁷

მდებარეობა

რეგიონის ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე. საჯარო ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა და ახალგაზრდების მოქნილი გადაადგილებისათვის.

ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად (განსაკუთრებით საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე), მთლიანობაში, ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოითხოვს შემდგომ დიდ ძალისხმევას, განსაკუთრებით - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. რაც შეეხება სოფლებს, მათი უმრავლესობის პრობლემა ტრანსპორტის ნაკლებობა და ცუდი გზებია, განსაკუთრებით - მაღალმთიან რეგიონებში.



⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოფლის ექიმის ეფექტიანობის აუდიტის 2015 წლის ანგარიშის დასკვნა

დასვენება სოფლად

ქალაქიდან გასვლისა და ბუნებაში დასვენების მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო მიმზიდველს ხდის სასოფლო არეალს დასვენებისათვის. სოფლად არსებული კულტურული და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები კიდევ უფრო საინტერესოა დამსვენებლებისათვის. მეორე მხრივ კი ადგილობრივ მოსახლეობას უბიძგებს ინოვაციური იდეების გენერირებისა და განვითარებისაკენ.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები საქართველოს დაბლობსა და ურბანულ რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვანი სტრუქტურული სისუსტეებით ხასიათდება. ძირითადი პრობლემებია: ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია, მიგრაცია, უკიდურესი სიღარიბე, სუსტი ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვასა და სხვა საჯარო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მაღალმთიან რეგიონებში შემოსავლის ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში დასაქმება მთლიანი დასაქმების 47%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა და მიწის ფრაგმენტაცია განაპირობებს იმას, რომ ფერმერები წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მნიშვნელოვანწილად საკუთარი მოხმარებისათვის იყენებენ. ქალები წარმოადგენენ თვითდასაქმებულების დიდ ნაწილს. 2015 წელს თვითდასაქმებულ ქალთა 58.6% დაკავებულია არაანაზღაურებადი საქმიანობით. მაღალმთიან რეგიონებში სამუშაო ადგილების შემქმნელი საქმიანობების სიმცირე ახალგაზრდების მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. 2015 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა უარყოფითი იყო და 473-ს შეადგენდა, მაშინ, როცა შიდა ქართლში (ბარი) ეს მაჩვენებელი 569 იყო. ბუნებრივი ზრდის ასევე უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთისა (399) და მცხეთა-მთიანეთის (184) რეგიონებში. მაღალმთიან რეგიონებში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფელში არის ექიმი, რომელსაც შეუძლია, ადგილობრივ მოსახლეობას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს, ადამიანებს მედიკამენტების შეძენისას აფთიაქების შეზღუდული რაოდენობის გამო სირთულეები ექმნებათ, ამიტომაც მათ უწევთ ქალაქებში წასვლა. განათლების ხელმისაწვდომობა ნაწილობრივ პრობლემატურია. ზოგადი განათლების დანყებითი საფეხური ყველა სოფლის სკოლაში ხორციელდება, ხოლო საბაზო ან/და საშუალო საფეხურები - მხოლოდ რამდენიმე სოფლის სკოლაში. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მთიანი რეგიონებიდან აბიტურიენტების ცოდნის საშუალო მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქში მცხოვრები აბიტურიენტებისა. გარდა ამისა, სტუდენტებს მაღალმთიანი რეგიონებიდან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისას აქვთ ფინანსური პრობლემები.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს მიღებულ იქნა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონით მაღალმთიანი დასახლება განსაზღვრულია, როგორც დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის ან მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით (მთის ფერდობის დაქანება, ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობა, კლიმატი და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო მიწების უკმარისობა, დემოგრაფიული ვითარება, მათ შორის - გამწვავებული მიგრაციული პროცესები) მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევებში კი, იმავე კრიტერიუმების მიხედვით - 800 მეტრზე დაბლა მდებარე დასახლებასაც. მაღალმთიან დასახლებაში მოქმედ მენარმე-სუბიექტებს ენიჭებათ სპეციალური სტატუსი და გათვალისწინებულია შეღავათები.

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური





დასკვნა

სასოფლო რეგიონებში განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შემდეგი მიდგომები:

- ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური ქსელის განვითარება: ახალი პროდუქტების წარმოება, გაყიდვებისა და წარმოების ახალი გზების შექმნა; ინოვაციური მიმართულებების გაძლიერება: ინოვაციური თემების დაჯილდოება, ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გავრცელების ადგილების შექმნა; ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სწავლების თანამშრომლობა;
- მოქალაქეების თანამონაწილეობისა და ჩართულობის გაძლიერება: დაბრკოლებების შემცირება, ახალი ინიციატივებისა და კვალიფიკაციის ამაღლების წახალისება და ხელშეწყობა;
- რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, შემოსავლების წყაროების კომბინირება რეგიონული კოოპერაციის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: ცხოვრების მდგომარეობის ხარისხის გაუმჯობესება სოფლად.

სუსტი სტრუქტურის მქონე რეგიონისათვის მნიშვნელოვანია ნეგატიური განვითარების სპირალის დროულად დამუხრუჭება და შესაძლებლობებისკენ გადართვა.

დანართი 1. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა

<p>მოქმედების არეალი: განვითარების მიზანი: რომელი პრობლემის გადაჭრა გვინდა; რა პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ.</p>				
<p>ქმედების მიზანი: ინდიკატორი: (ქმედების მიზანი წარმოადგენს სიტუაციის პოზიტიურ ცვლილებას, რომელიც მიიღწევა კონკრეტული ქმედებების განხორციელებით)</p>				
შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5
<p>შედეგები მიიღწევა კონკრეტული პროექტებისა და ქმედებების ერთობლივად განხორციელების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ქმედების მიზნის მიღწევას</p>				
აქტივობა/პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა შედეგი				
<p>რა არსებული იდეები და რესურსები შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შედეგების მიზანშეწონილად. ვინ და რომელი ინსტიტუციები უნდა ჩაერთოს ამ შედეგების მისაღებად.</p>				

დანართი 2. მდებარეობა, მოსახლეობის სტრუქტურა, ტრანსპორტი, დასახლების სტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შესაძლებლობები	საფრთხეები

დანართი 3. ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, დასაქმების ბაზარი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შესაძლებლობები	საფრთხეები

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027
- <http://www.centri.gov.ge/ge/about-us/history>
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოფლის ექიმის ეფექტიანობის აუდიტის 2015 წლის ანგარიშის დასკვნა
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი
- ევროპის სოფლის განვითარების LEADER ასოციაცია - ანგარიში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხილვის შედეგების შესახებ ბორჯომის, ყაზბეგისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში
- Modellvorhaben Land(auf)Schwung Regionen in Aktion - Bundesministeriums für Ernährung und Landwirtschaft, 2014
- LeitfadenLändliche Entwicklung aktiv gestalten - Bundesministeriums für Ernährung und Landwirtschaft, 2014
- Ländliche Regionen verstehen - Fakten und Hintergründe zum Leben und Arbeiten in ländlichen Regionen - Bundesministeriums für Ernährung und Landwirtschaft, 2014
- <http://geostat.ge/>
- <http://census.ge/ge/results/census>

